



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 02

2019 წლის 17 იანვარი
ქ. თბილისი

2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა და (TUBITAK) და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, „2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 ელის 24 ნოემბრის N155 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პროგრამა და პირობების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივნისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N39995, 17.01.2019წ.) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- დამტკიცდეს 2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები:

N	პროექტის სახელწოდება	ინსტიტუცია საქართველოს მხრიდან	ინსტიტუცია თურქეთის მხრიდან
1	ერზოუმ-ყარსისა (თურქეთი) და სამცხე-ჯავახეთის (საქართველო) ზეგნების გვიან კაინოზოური მაგმატიზმის პეტროგენეზის, გეოდინამიკური გარემოსა და ოქროს მინერალიზაციის პოტენციალის კვლევა საზღვრების გარეშე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სტამბულის უნივერსიტეტი

2	წანაცვლებითი წეიტრალური ქარის მოქმედების ქვეშ მყოფი როსბის ტიპის განმხოლობული სტრუქტურების გენერაცია და არაწრფივი დინამიკა დედამიწის იონოსფეროში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფირატის უნივერსიტეტი
3	NTRU-ზე დაფუძნებული კრიპტოსისტემების დიზაინი და ანალიზი ფორმალური მეთოდების გამოყენებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი	ცხრამეტი მაისის უნივერსიტეტი

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2019 წლის 5 თებერვლისა.
3. საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის მონაწილე პირებმა არაუგვიანეს 2019 წლის 25 იანვრის 18:00 საათისა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ ანგარიშის ნომერი გაცემული ბანკის და ცნობა იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი, ასევე ძირითადი პერსონალის პირადობის მოწმობების ასლები.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზეიად გაბისონია